ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველო

2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში

31 იანვარი, 2017

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო: გორგასალის 24ა, თბილისი, 0114, საქართველო.
ტელ.: (995 32) 240 58 04; ogpgeorgia@justice.gov.ge; www.justice.gov.ge

სარჩევი

შესავალი 2

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი 2

საჯარო კონსულტაციები 3

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება 4

სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება 5

გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება 6

გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება 16

გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა 23

გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა 31

დასკვნა 32

შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) საქართველოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი პროდუქტია. სამოქმედო გეგმა შემუშავდა ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (შემდგომში – ფორუმი) ფარგლებში და ქვეყნის მასშტაბით გამართული საჯარო კონსულტაციების შედეგად.

ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს სამოქმედო გეგმის პირველად პროექტში ასახულ ვალდებულებებს. გარდა ამისა, მათი დამატებითი რეკომენდაციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის პირველი პროექტის შემუშავების შემდეგ წარმოადგინეს, უმეტესწილად გათვალისწინებულ იქნა და ვალდებულებების სახით აისახა სამოქმედო გეგმაში.[1]

სამოქმედო გეგმის შემუშავებას დაეთმო 2 გაფართოებული მრგვალი მაგიდა; ფორუმის 4 გეგმური და 2 *ad hoc* სხდომა; ინდივიდუალური შეხვედრები და ინტენსიური კონსულტაციები სამდივნოს, პასუხისმგებელ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში - ანტიკორუფციული საბჭო) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა OGP-სთვის წარსადგენი სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი. სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტის განხილვა ფორუმის გაფართოებულ სხდომაზე 2014 წლის 6 ივნისს ჩატარდა. სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობამ №557 დადგენილებით 18 სექტემბერს დაამტკიცა.

სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია **16 პასუხისმგებელი უწყების 27 ვალდებულება,** რომლებიც შესაბამისობაშია OGP-ის პრინციპებთან – გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა, ტექნოლოგია და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები პასუხობს ღია მმართველობის პარტნიორობის **4 გამოწვევას:** საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი

2013 წელს ჩამოყალიბდა ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, რომელმაც ჩაანაცვლა ღია მმართველობა საქართველოს პირველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი, რომლის საქმიანობაშიც სხვადასხვა ხასიათის ხარვეზები

[1] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართვა - www.justice.gov.ge.pdf.

შეინიშნებოდა. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ (შემდგომში – სამდივნო) OGP-ის რეგულაციების გათვალისწინებით სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გააქტიურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის გარდაქმნის მიზნით შეიმუშავა განახლებული ფორუმის სახელმძღვანელო წესები, რომლებშიც დეტალურად გაიწერა ფორუმის ფუნქციები და მის მუშაობასთან დაკავშირებული პროცედურები. ფორუმის შემადგენლობას დაემატა პასუხისმგებელი უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. განახლებული ფორუმი თავისი სტრუქტურითა და ფუნქციებით სრულად პასუხობს ღია მმართველობა საქართველოს დამოუკიდებელი მექანიზმის ექსპერტის რეკომენდაციებს.

ფორუმს ხელმძღვანელობენ თანათავმჯდომარეები – საქართველოს მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად წარუდგენენ თავიანთ კანდიდატს ფორუმს, რომელსაც ირჩევს ფორუმი. ფორუმის ფუნქციებს შორისაა სამოქმედო გეგმის მომზადების ხელშეწყობა, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა და ჩატარება, სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ხელშეწყობა, ასევე, ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

განახლებული ფორუმის პირველი სხდომა 2014 წლის 15 იანვარს გაიმართა. სხდომაზე მიღებულ იქნა ფორუმის სახელმძღვანელო წესები. ფორუმი შეთანხმდა ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპებსა და ფორმატზე ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს მიერ მოწოდებული სამოქმედო გეგმის ნიმუშისა და შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით. ფორუმის შეხვედრები რეგულარულია და იმართება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, გამართულია ფორუმის 19 სამუშაო შეხვედრა.

საჯარო კონსულტაციები

კონსულტაციებისათვის განსაზღვრული ერთთვიანი პერიოდის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების საფუძველზე და მათი უშუალო ჩართულობით ფორუმმა შეიმუშავა საქართველოს მასშტაბით ჩასატარებელი [საჯარო კონსულტაციების გეგმა,](#) სადაც დეტალურად გაიწერა შეხვედრების მიზანი, ფარგლები, შეხვედრების გამართვაზე პასუხისმგებელი არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სამიზნე ჯგუფები.

საჯარო კონსულტაციები ჩატარდა საქართველოს 15 ქალაქში, „USAID“-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრების მხარდაჭერით. საქართველოს მასშტაბით გამართულ 19 შეხვედრაში მონაწილეობა 700-მდე დაინტერესებულმა პირმა მიიღო.

საჯარო კონსულტაციების განრიგი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ღია მმართველობის ბანერის ქვეშ განთავსდა. საჯარო კონსულტაციებთან ერთად ონლაინ კონსულტაციისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე, ღია მმართველობის ბანერის ქვეშ, შეიქმნა ასევე ონლაინ კონსულტაციის ველი.

საჯარო კონსულტაციების დასასრულს, შეხვედრებში მონაწილე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ შედგენილი ოქმების საფუძველზე ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ მოამზადა და სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიასთან ერთად ანტიკორუფციულ საბჭოს 2014 წლის 14 აპრილის სხდომაზე წარუდგინა ანგარიში 2014 წლის საჯარო კონსულტაციების შესახებ.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, სამდივნომ, OGP-ის რეგულაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია შეიმუშავა. ფორუმმა მეთოდოლოგიის საბოლოო ვერსიაზე შეთანხმებას ორი სამუშაო შეხვედრა დაუთმო.

მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია მიზნად ისახავს შეაფასოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, როგორც ვალდებულებების შესრულება, ასევე ვალდებულებების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგები.

ცხრილი 1: მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია

მონიტორინგი	
მექანიზმი	მონიტორინგის ცხრილის შევსება და სამდივნოში წარდგენა, სამოქალაქო საზოგადოების კომენტარები და სამდივნოს შეფასება
ძირითადი ეტაპები	- პასუხისმგებელი უწყებების მიერ მონიტორინგის ცხრილის შევსება - სამდივნოს მიერ პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება და ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიწოდება - არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კომენტარების მომზადება და სამდივნოსთვის წარდგენა - სამდივნოს მიერ მონიტორინგის შედეგების დამუშავება და ფორუმის სხდომაზე წარდგენა
სიხშირე	კვარტალურად
თვითშეფასება	
თვითშეფასების წყაროები	პასუხისმგებელი უწყებების მიერ მომზადებული ანგარიშები
	საქართველოს მაჩვენებელი OGP-ის დასაშვებობის კრიტერიუმების მიხედვით
	საერთაშორისო სარეიტინგო კვლევების მიმოხილვა
	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები
	ინტერვიუები პასუხისმგებელ უწყებებთან (Key informant interviews)
მექანიზმი	- პასუხისმგებელი უწყებები წარადგენენ გეგმის შესრულების წერილობით ანგარიშს სამდივნოში. - სამდივნო ატარებს შეხვედრებს 16 პასუხისმგებელ უწყებასთან. - ანგარიშის პროექტი ეგზავნება ფორუმს კომენტარებისთვის. - ანგარიშის პროექტი განიხილება ფორუმის სხდომაზე (მრგვალ მაგიდაზე). - სამდივნო ამზადებს საბოლოო ანგარიშს და წარუდგენს ანტიკორუფციულ საბჭოსა და OGP სამდივნოს.

ძირითადი ეტაპები	- სამდივნოს მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და ფორუმისთვის მიწოდება - ფორუმის კომენტარების მიღება - ანგარიშის საჯარო კომენტარებისთვის განთავსება - სამდივნოს მიერ ანგარიშის დამუშავება და OGP სამდივნოსთვის წარდგენა	
სიხშირე	სამოქმედო გეგმის მოქმედების მანძილზე ორჯერ, წელიწადში ერთხელ.	
მონიტორინგის და შეფასების კრიტერიუმები		
რეიტინგი	სრულად შესრულდა	ვალდებულების შესასრულებლად დაგეგმილი ყველა განხორციელების ეტაპი სრულად შესრულდა.
	უმეტესწილად შესრულდა	ვალდებულების შესასრულებლად დაგეგმილი განხორცილების ეტაპების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი.
	ნაწილობრივ შესრულდა	ვალდებულების შესასრულებლად დაგეგმილი განხორცილების ეტაპების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი.
	არ შესრულდა	ვალდებულების შესასრულებლად დაგეგმილი არც ერთი განხორციელების ეტაპი არ შესრულდა.
სტატუსი	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	
	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	
	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	
	განხორციელების პროცესი დასრულებულია	

სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში (ანგარიში) აფასებს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგად გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას **2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით.**

ანგარიში შემუშავებულია სამდივნოს მიერ გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ფორუმის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით გამართული განხილვების საფუძველზე.

წინამდებარე ანგარიში **არ ფარავს** იმ ვალდებულებებს, რომლებიც სამოქმედო გეგმის შესრულების **შუალედური ანგარიშის** მიხედვით, **სრულად შესრულდა** (ვალდებულება: 2; 3; 13; 15; 16; 17; 20; 26). სხვა ვალდებულებების პროგრესის თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით, თითოეულისთვის მოცემულია შესრულების პროგრესის ცხრილი შუალედური ანგარიშიდან, აღნიშნულის ქვეშ კი განხილულია ცვლილებები, რომლებიც შუალედური ანგარიშიდან 2016 წლის ბოლომდე განხორციელდა.

გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

ვალდებულება 1(ა): სადაზღვეო სერვისი იუსტიციის სახლში					
ვალდებულების მოკლე აღწერა		მოქალაქეებს, რომლებიც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, პასპორტზე განაცხადის გაკეთებასთან ერთად საშუალება მიეცემათ, იუსტიციის სახლშივე აიღონ სამოგზაურო დაზღვევის პოლისი. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში მცხოვრებთათვის, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, მოქალაქეებს სადაზღვევო პოლისის მისაღებად სხვა ქალაქში გადაადგილებაც კი უხდებათ.			
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	სადაზღვეო კომპანიები			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება			
მთავარი მიზანი		მომხმარებლის კმაყოფილების ზრდა და მოსახლეობისთვის ერთ სივრცეში უფრო მეტი სერვისის შეთავაზება			
ინდიკატორი		2014 წლის ბოლოს იუსტიციის სახლში სადაზღვეო კომპანიების სერვისი დანერგილია			
მიღწეული შედეგები		იუსტიციის სახლში სხვადასხვა აქციების (ID ბარათების უფასოდ გაცემა, ფასდაკლება ID ბარათის გაცემაზე) გამო და შესაბამისად, წინა ხაზის თანამშრომლების მაღალი დატვირთულობის შედეგად, იუსტიციის სახლმა მიიღო გადაწყვეტილება პროექტის დანერგვის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით. 2015 წლის ივლისში გამოცხადდა მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე იმ სადაზღვევო კომპანიებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათი სერვისი ხელმისაწვდომი გახდეს იუსტიციის სახლში. სერვისის გაშვება 2015 წლის ოქტომბერში იგეგმება.			
შესრულების შეფასება			სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი		დეკემბერი, 2014				
სამომავლო გეგმები		- მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება; - სერვისი იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში 2015 წლის ოქტომბერში ამოქმედდება.				

*თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულება **სრულად შესრულდა.** პროექტის განხორციელება დასრულებულია. 2015 წლის 2 ნოემბრიდან სამოგზაურო დაზღვევის სერვისის მიღება იუსტიციის სახლის ყველა ფილიალშია შესაძლებელი.*

ვალდებულება 1(ბ): სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისები იუსტიციის სახლში	
ვალდებულების მოკლე აღწერა	მომხმარებლები ერთ სივრცეში, იუსტიციის სახლში, შეძლებენ სახელმწიფო უძრავი ქონების როგორც შესყიდვას ან იჯარით მფლობელობაში აღებას, ისე ამ ქონების რეგისტრაციას. საწყის ეტაპზე სერვისი დაინერგება იქ, სადაც ეს მომსახურება დღეისთვის საერთოდ არ არსებობს, მათ შორის, სადაც სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს არ აქვს მომსახურების ცენტრები (ოზურგეთი, გურჯაანი, ბათუმი და მარნეული) და მომხმარებელს სერვისის მისაღებად სხვა ქალაქში ჩასვლა უხდება.
წამყვანი დაწესებულება	სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი		სერვისის მიწოდების გამარტივება, მოქალაქეთა კმაყოფილების ზრდა
ინდიკატორი		2014 წლის ბოლოს იუსტიციის სახლში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისი დანერგილია
მიღწეული შედეგები		სახელმწიფო უძრავი ქონების შესყიდვა ან იჯარით მფლობელობაში აღება, ასევე, ამ ქონების რეგისტრაცია მარნეულის იუსტიციის სახლში ხელმისაწვდომია 2015 წლის იანვრიდან. ვალდებულების განხორციელების პროცესში მთავარი გამოწვევა აღმოჩნდა ახალი სერვისების გასაშვებად საჭირო სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება. 2015 წლის დასაწყისში, მხარეთა შეთანხმებით, სერვისის დანერგვის პროცედურა დარეგულირდა წამყვან და პარტნიორ უწყებებს შორის დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმით.
შესრულების შეფასება		

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		

დასრულების თარიღი	სექტემბერი, 2014
სამომავლო გეგმები	- მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება; - სერვისი იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში (გარდა თბილისისა) 2015 წლის ოქტომბერში ამოქმედდება.

*თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულება **სრულად შესრულდა.** სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისი 2015 წლის 21 იანვრიდან დაინერგა მარნეულის იუსტიციის სახლში, ამავე წლის 2 ნოემბრიდან ამოქმედდა იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში.*

ვალდებულება 4: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლში		
ვალდებულების მოკლე აღწერა		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მომსახურებების გამარტივებისა და იუსტიციის სახლის ერთ სივრცეში მოქცევის მიზნით ამ ვალდებულების ფარგლებში სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციაში გადავა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული დოკუმენტების დამოწმება, დამოწმებული დოკუმენტები კი გაიცემა იუსტიციის სახლის სივრცეში.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (სსგს), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; იუსტიციის სახლი
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი		მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და გამარტივება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება
ინდიკატორი		მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით
მიღწეული შედეგები		2015 წლის ივნისის მდგომარეობით, სამეტაპიანი სამუშაოების შედეგად, დასრულებულია ბიზნეს პროცესის ჩამოყალიბება, შექმნილია პროგრამული პროდუქტი (ბიზნეს ანალიზი, პროცესების შეთანხმება, ტექნიკური დავალების შემუშავება) და მომზადებულია პროექტის განხორციელებისთვის საჭირო

	საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. შემუშავებული ბიზნეს პროცესის შესაბამისად, პარტნიორ უწყებებს შორის გადანაწილებულია უფლებამოსილებები.[2]				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	ოქტომბერი, 2014				
სამომავლო გეგმები	- განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების, ასევე მთავრობის მიერ შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების დამტკიცება; - იუსტიციის სახლის, ხარისხის მართვის ცენტრისა და სსგს-ს ტერიტორიული სამსახურის ოპერატორებისთვის ტრეინინგების ჩატარება; - საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაგეგმვა/განხორციელება.				

*თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულება **სრულად შესრულდა.** ვალდებულებით გათვალისწინებული სერვისები იუსტიციის სახლში 2016 წლის 10 აგვისტოდან ხელმისაწვდომია.*

ვალდებულება 5: მოქალაქის პორტალის განვითარება		
ვალდებულების მოკლე აღწერა		მოქალაქის პორტალის (www.my.gov.ge) მეშვეობით შესაძლებელია საჯარო მომსახურების მიღება ონლაინ და საჯარო დაწესებულებასა და მოქალაქეს შორის ელექტრონული კომუნიკაცია. 2013 წლისათვის პორტალზე ინტეგრირებული იყო 60-მდე სახელმწიფო სერვისი და 80-მდე კომუნალური გადასახადი. პორტალს აქვს ბიზნესის ონლაინ რეგისტრაციის მოდული. გარდა ამისა, მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს, ელექტრონულად გააგზავნოს წერილი სახელმწიფო უწყებაში და ელექტრონულადვე მიიღოს პასუხი. ამ ვალდებულების ფარგლებში, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო განავითარებს პორტალს და დაამატებს ახალ სერვისებს.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები; ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი		პორტალის გამოყენების გაზრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ელექტრონული სერვისების დამატებისა და პორტალის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის გზით; სახელმწიფო აპარატის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდა
ინდიკატორი		2015 წლის ბოლომდე პორტალის მომხმარებელთა რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 15%-ით გაიზრდება; სერვისების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10%-ით გაიზრდება
მიღწეული შედეგები		- მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს ორი ელექტრონული სერვისი: მოვალეთა რეესტრი და ძებნა მოვალეთა რეესტრში; - აღწერილია 3 მუნიციპალიტეტის 10 სერვისი; სერვისების პორტალზე ინტეგრაციისთვის საჭირო ძირითადი სამუშაოები შესრულებულია; - შექმნილია ბიზნეს ანალიზის დოკუმენტი. სერვისების კატალოგის ტექნიკური რეალიზაციის ძირითადი სამუშაოები დასრულებულია; მომზადებულია სატრენინგო მასალები და პრეზენტაციები;

[2] აღსანიშნავია, რომ მოცემული ვალდებულების OGP-ს სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება მოგვიანებით, იმ ეტაპზე მოხდა, როდესაც მიმდინარეობდა სამოქმედო გეგმის მთავრობის მიერ დამტკიცების პროცესი, შესაბამისად, არ იყო საკმარისი დრო არსებული სიტუაციის ანალიზისთვის, რაც გამოავლენდა საჭიროებებს და ვალდებულების შესრულებისთვის გასატარებელ ღონისძიებებს. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ პასუხისმგებელმა უწყებამ არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად, ვალდებულების შესრულების თარიღად განსაზღვრა 2015 წლის მაისი.

	- მომზადებულია საქართველოს ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული წიგნის, ასევე ნაბეჭდი ვერსიის სახით; - მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით: • დაბეჭდილია მოქალაქის პორტალის საცნობარო ბუკლეტები; სარეკლამო ბანერები განთავსებულია ავტობუსებზე, ვებ-გვერდებზე და სოციალურ ქსელებში; საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები მოქალაქის პორტალის სერვისების გამოყენებასა და მოქალაქის პორტალზე მომხმარებლების რეგისტრაციის საკითხებზე.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2015				
სამომავლო გეგმები	მონაცემთა გაცვლის სააგენტო განაგრძობს: - სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებთან მოლაპარაკებებს მათი ელექტრონული სერვისების მოქალაქის პორტალზე ინტეგრაციის მიზნით; - საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გამართვას თბილისსა და რეგიონებში.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულების შესრულების მიმართულებით პროგრესი არ არის.

ვალდებულება 6 (ა): საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში		
ვალდებულების მოკლე აღწერა		ვალდებულება ითვალისწინებს 2014 წლის ბოლომდე 6 ახალი საზოგადოებრივი ცენტრის გახსნას. საზოგადოებრივი ცენტრი ასრულებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სერვისების მიწოდების, ისე საზოგადოების ჩართულობისა და გააქტიურების ფუნქციას. ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით. ცენტრში დასაქმებულნი არიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები, რომლებიც ელექტრონული მმართველობის გამოყენებით ცენტრალური, მუნიციპალური ორგანოების და კერძო სექტორის სერვისებს აწვდიან მოსახლეობას. საზოგადოებრივ ცენტრში განთავსებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ოფისი და გამოყოფილია სპეციალური სივრცე საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშესაწყობად. მოქალაქეთათვის, ასევე, ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონფერენციის აპარატურა, ბანკომატები და სწრაფი გადახდის აპარატები.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ადგილობრივი თვითმმართველობა; სსიპ-ები: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „მექანიზატორი“; სსიპ-ები: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ევროკავშირი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“, ლიბერთი ბანკი, მაგთიკომი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა
მთავარი მიზანი		ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა; სოფლის დონეზე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე, კერძო სექტორის ძირითად სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა

ინდიკატორი	საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა; ადგილობრივი მოსახლეობის კმაყოფილება მიღებული მომსახურებით (ხარისხობრივი კვლევის შედეგად); საზოგადოებრივ ცენტრებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა				
მიღწეული შედეგები	- საანგარიშო პერიოდში, აშენდა, მოეწყო და აღიჭურვა ვალდებულებით გათვალისწინებული 6 საზოგადოებრივი ცენტრი; შეირჩა და გადამზადდა კადრები. გარდა ამისა, გაიხსნა დამატებით 4 საზოგადოებრივი ცენტრი (მათგან 2 საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე); - მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციის სრულყოფის მიზნით, მათი მართვა კვლავ სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციის ქვეშ დარჩება, ვინაიდან მუდმივად მიმდინარეობს ახალი სერვისების იდენტიფიცირება და დამატება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, კონცეფციის დასრულებამდე ცენტრების მართვა სსგს-მ გააგრძელოს. - ცენტრებში მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები საზოგადოების ჩართულობის ამაღლების მიზნით.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2015				
სამომავლო გეგმები	2015 წლის ბოლომდე დაგეგმილია დამატებითი საზოგადოებრივი ცენტრების სრული დატვირთვით ამოქმედება.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ აშენდა და გაიხსნა არაერთი საზოგადოებრივი ცენტრი. ამჟამად საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 43 ცენტრი. ვალდებულება ***სრულად შესრულდა.***

ამ ეტაპამდე, ცენტრების კონცეფციის სრულყოფის დასრულებამდე, ცენტრების მართვას კვლავ სსგს განაგრძობს.

ვალდებულება 6 (ბ): ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში		
ვალდებულების მოკლე აღწერა		მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში მიზნად ისახავს მმართველობის დონის გაუმჯობესებას და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის გაზრდას. საპილოტე პროექტის ფარგლებში მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებში არსებული მომსახურებების 10-მდე პროცესის შესწავლა და მასზე დაყრდნობით მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება. 2014 წლის განმავლობაში სისტემის დანერგვა დაიწყება 6 საპილოტე მუნიციპალიტეტში (ქარელი, თეთრიწყარო, ხაშური, ხობი, ახმეტა, გარდაბანი). მუნიციპალიტეტების სისტემაში ჩართვის შედეგად პროცესები იქნება უფრო გამჭვირვალე და ეფექტიანი. შესაძლებელი გახდება წვდომა არსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან (სსიპ-ების – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალურ მომსახურების სააგენტოს, და ცენტრალური ხელისუფლებისა თუ სხვა კერძო კომპანიების მონაცემთა ბაზები), რაც შეამცირებს ადამიანური და დროითი რესურსების დანახარჯებს ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატში მოქალაქეთა მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შემოწმების კუთხით. 2014-2015 წლებში ელექტრონული მმართველობა დაინერგება დამატებით 4 მუნიციპალიტეტში.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ადგილობრივი თვითმმართველობები, სსიპ-ები: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო

	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ევროკავშირი, UGT			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო ფინანსების უკეთესი მართვა			
მთავარი მიზანი		ელექტრონული მმართველობის დანერგვის გზით ადგილობრივ თვითმმართველობებში მმართველობის გაუმჯობესება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა			
ინდიკატორი		ელექტრონული მმართველობა დანერგილია 10 მუნიციპალიტეტში; სერვისების გაცემის შემცირებული ვადები; ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართული მოსახლეობის გაზრდილი მაჩვენებელი			
მიღწეული შედეგები		- ვალდებულების განხორციელების პირველ ეტაპზე შერჩეული 7 მუნიციპალიტეტიდან 5-ში აეწყო დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის სატესტო კონფიგურაციები, რამაც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს მისცა სისტემის ტესტირების შესაძლებლობა; - ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა ახალი ვებგვერდი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობისა და საზოგადოებრივ ცენტრებში ჩატარებული აქტივობების შესახებ; - მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ერთად, შემუშავდა IT უნარების სასწავლო პროგრამა (საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ტრენინგები ჩატარდა ახმეტის, ყვარელის, ხობის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში; დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის შესახებ ტრენინგები გაიმართა ახმეტის, ყვარელის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში); - შემუშავდა საზოგადოებრივი ცენტრების მობილური აპლიკაციისა და ვებგვერდის ახალი დიზაინის ფორმები.			
შესრულების შეფასება			სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი		დეკემბერი, 2015				
სამომავლო გეგმები		- ტრენინგ-პროგრამების გაგრძელება; - მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის ტესტირებისა და კონფიგურაციის პროცესში; - ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, არსებული ვებგვერდის (www.centri.gov.ge) განახლება და განვითარება; - ელექტრონული მმართველობის დანერგვის მიზნით, დამატებით 5 მუნიციპალიტეტის შერჩევა; - სისტემაში შემავალ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა მოქალაქის პორტალის (www.my.gov.ge) საშუალებით; - ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში არსებული დამატებითი მომსახურებების შერჩევა, შესწავლა და მუნიციპალიტეტის მართვის სისტემაში გათვალისწინება.			

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულება ***უმეტესწილად შესრულდა.***

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა საპილოტე მუნიციპალიტეტების მხარდასაჭერად ელექტრონული მმართველობის სისტემის ტესტირებისა და მუნიციპალური სერვისების პროცესების კონფიგურაციის პროცესში. 2016 წლის დეკემბრამდე მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა ფუნქციონირებს 46 მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სერვისებით მათ შორის (42 მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და სტატუსის შესახებ ცნობის გაცემის სერვისები). ასევე, გადაწყვეტილებების მიღების

პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების მიზნით, 3 მუნიციპალიტეტში (ხაშური, ყვარელი და ხობი) მუნიციპალიტეტის შენობის პირველ სართულზე განთავსდა ინფორმაციული კიოსკი, სადაც მუნიციპალიტეტებს აქვთ საშუალება განათავსონ სხვადასხვა ელექტრონული კითხვარი ადგილობრივი მოქალაქეებისთვის და მოახდინონ მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში ამ მოქალაქეთა პასუხების დამუშავება და ანალიზი. გარდა ამისა, დაიწყო ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების სერვისის www.my.gov.ge პორტალზე ინტეგრაცია. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა არსებული ვებ-გვერდის, centri.gov.ge-ის განახლებაზე. 2016 წლის მარტის თვეში გაეშვა ვებ-გვერდის ახალი ვერსია, სადაც გათვალისწინებულია წინა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები. ასევე, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 5 ახალი პროცესის მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში ჩაშენება (მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და სტატუსის შესახებ ცნობის გაცემის სერვისები). 2016 წლის დეკემბრამდე ჯამში 48 მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სხვადასხვა ტიპის ტრენინგები, მათ შორის 48-ვე მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში“. ასევე 9 საპილოტე მუნიციპალიტეტისთვის ჩატარდა ტრენინგი IT უნარებში, ხოლო 8 საპილოტე მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში.

ვალდებულება 7: რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით		
ვალდებულების მოკლე აღწერა		თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა მთელი საქართველოს მასშტაბით ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. ციფრული დაყოფის აღმოფხვრის ინოვაციური მეთოდია საჯარო ბიბლიოთეკების გამოყენება ახალი დანიშნულებით: ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად საჯარო ბიბლიოთეკები შეიძენს საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციებს. საზოგადოებრივ ცენტრებთან ერთად საჯარო ბიბლიოთეკები იქნება დამატებითი საშუალება სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ახალი წიგნები) აღჭურვილ საჯარო ბიბლიოთეკებში საზოგადოებას მომსახურებას გაუწევენ გადამზადებული ბიბლიოთეკარები. 2014 წელს საპილოტე პროექტი 4 საჯარო ბიბლიოთეკაში განხორციელდება. პილოტის შედეგების გათვალისწინებით მუშაობა გაგრძელდება 2015 წელს.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა
მთავარი მიზანი		საჯარო ბიბლიოთეკის ახლებური კონცეფციის შემუშავება, რომელიც ბიბლიოთეკის ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უფასო წვდომას ინფორმაციულ–ტექნოლოგიებზე და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენას და განვითარებას
ინდიკატორი		განახლებული საჯარო ბიბლიოთეკის სერვისებით მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა; განახლებული ლიტერატურით, ინფრასტრუქტურით და მიღებული მომსახურებით კმაყოფილების დონის დასადგენად საჯარო ბიბლიოთეკის მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები; ბიბლიოთეკარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა

მიღწეული შედეგები	- საანგარიშო პერიოდში დასრულებულია 4 ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები, ბიბლიოთეკები აღჭურვილია ავეჯით, ტექნიკით და ლიტერატურით; - ჩატარდა ტრენინგი სერვისების გამცემი ოპერატორებისათვის და მომზადდა საინფორმაციო ვიდეო კლიპი პროექტის შესახებ; - საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციის ბიბლიოთეკების სისტემაში ინტეგრაციის მეშვეობით, ამჟამად, ბიბლიოთეკებში ხელმისაწვდომია 200-ზე მეტი ყველაზე მოთხოვნადი საჯარო და კერძო სექტორის სერვისი; - ვალდებულების შესრულების მესამე ეტაპზე, განხორციელდა ბიბლიოთეკების მუშაობის მონიტორინგი და შეფასება. დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა, რომ მოდერნიზებულ ბიბლიოთეკებში დაახლოებით 16-ჯერ გაიზარდა მომხმარებლების რაოდენობა (საშუალოდ 30 მომხმარებელი თვეში/საშუალოდ 500 მომხმარებელი თვეში), ხოლო იმ საზოგადოებრივ ცენტრებში, სადაც ბიბლიოთეკაა ინტეგრირებული, მკითხველთა რაოდენობა 20-ჯერ გაიზარდა.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2014				
სამომავლო გეგმები	- დამატებითი ტრენინგები ბიბლიოთეკარებისთვის; - ბიბლიოთეკარების მიერ მომსახურების გაწევის ხარისხის მონიტორინგი; - პროექტის პოპულარიზაციის მიზნით, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გამართვა; - პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულება ***სრულად შესრულდა.***

ამ ეტაპამდე, კონცეფციის სრულყოფის მიზნით, ნუკრიანის და ხიდისთავის ბიბლიოთეკები კვლავ რჩებიან სსგს-ს საკუთრებაში.

ვალდებულება 8: ციფრული ხელმოწერა და ონლაინავთენტიფიკაცია[3]		
ვალდებულების მოკლე აღწერა		საქართველოში საიდენტიფიკაციო სერვისების განვითარების მიზნით სამოქმედო გეგმის ფარგლებში სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო იმუშავებს ორი ძირითადი მიმართულებით: 1. **ონლაინ ავთენტიფიკაციის სისტემების** განვითარების ხელშეწყობა პირადობის ელექტრონული მოწმობისა და მასში რეალიზებული უსაფრთხო ავთენტიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით; 2. **ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის** განვითარება საქართველოში, რაც მიზნად ისახავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების განვითარებას ციფრული ხელმოწერის და ციფრული შტამპის (ციფრული ხელმოწერა ორგანიზაციის სახელით) მექანიზმების შექმნისა და დახვეწის გზით.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	

[3] წინამდებარე აქტივობის და მასთან დაკავშირებული შესრულების ვადების განსაზღვრისას, სამოქმედო გეგმაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა; აქტივობის დასრულების თარიღად შეცდომით მითითებულ იქნა 2014 წლის დეკემბერი, 2015 წლის დეკემბრის ნაცვლად. შესაბამისად, მოცემულ აქტივობაზე მუშაობა მიმდინარეობს გეგმის მიხედვით.

შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება				
მთავარი მიზანი	ძლიერი, სანდო და უნივერსალური ავთენტიფიკაციის სისტემების განვითარება ონლაინ მომსახურებისთვის; ციფრული ხელმოწერისა და შტამპის განვითარება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში				
ინდიკატორი	იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებშიც დაინერგა ციფრული ხელმოწერა და/ან შტამპი; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიგნით იმ დოკუმენტაციის ტიპების რაოდენობა, რომელზეც გამოიყენება ციფრული ხელმოწერა და/ან შტამპი				
მიღწეული შედეგები	- ID ბარათებზე ციფრული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების განახლების სისტემა ამოქმედდა და მომხმარებლები (მათ შორის სააგენტოს თანამშრომლები) უკვე სარგებლობენ ამ მომსახურებით; - დამუშავდა კორპორატიული მომხმარებლების ავთენტიფიკაციის მეთოდიკა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში. ამ სამუშაოებში გამოყენებულ იქნა ID ბარათის ახალი „მიდლვეარი“, რომელიც შემუშავდა სააგენტოს რესურსებით. აღნიშნული „მიდლვეარი“ ასევე გადაეცა სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, მოქალაქის პორტალში (www.my.gov.ge) საპილოტე რეჟიმში ჩასაშენებლად; - დასრულდა კანონპროექტი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ და დაიწყო სამუშაოები მისი ინიცირებისთვის; - შეიქმნა ციფრული ხელმოწერის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი - ციფრული ხელმოწერის განხორციელების ბიბლიოთეკა; - ციფრული შტამპის პროექტის განხორციელებისა და დანერგვის მიზნით, დაიწყო პრაქტიკული სამუშაოები. შემუშავდა ამოცანა და ძირითადი კომპონენტები. დაიწყო მუშაობა, ერთი მხრივ, უშუალოდ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, მეორე მხრივ - საჭირო კომპონენტების შესყიდვაზე; - განხორციელდა ხელმოწერილი დოკუმენტების შემოწმების მექანიზმების საერთაშორისო სტანდარტების და ბაზარზე არსებული პროდუქტების კვლევა; - მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტების გადამოწმების მექანიზმის საპილოტე რეჟიმში გასაშვებად; - მიმდინარეობს მუშაობა ციფრულად ხელმოწერილი დოკუმენტების არქივაციის სისტემაზე.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	ივლისი, 2015				
სამომავლო გეგმები	- ციფრული ხელმოწერის ფუნქციონალის დახვეწა; - სსგს-ს ინფრასტრუქტურაში ID ბარათით ავთენტიფიკაციის დანერგვის ხელშეწყობა; - ციფრულად ხელმოწერილი დოკუმენტების არქივაციის სისტემების შექმნა; - ციფრული შტამპით ხელმოწერილი დოკუმენტების გადამოწმების მექანიზმის შექმნა; - ციფრული შტამპის დანერგვა.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულება ***უმეტესწილად შესრულდა.***

საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა დაკარგული PIN კოდების ხელმეორედ გაცემის პროექტი რა მიზნითაც განხორციელდა შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვა. 2017 წლის ზაფხულისთვის მოქალაქეებს ექნებათ საშუალება მიიღონ ახალი PIN კოდები, პირადობის მოწმობის შეცვლის საჭიროების გარეშე. ეს, და ასევე პროექტით გათვალისწინებული სხვა ფუნქციონალი ხელს შეუწყობს სსგს-ს და ნებისმიერი სხვა მსურველი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურაში ID ბარათით ავთენტიფიკაციის დანერგვას. ასევე ციფრული ხელმოწერის ფართოდ დანერგვას სხვადასხვა ორგანიზაციების საქმისწარმოებაში.

ჩატარდა დამატებითი კვლევები რომელიც გამიზნულია ქვეყანაში ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის შესაქმნელად, სადაც ცენტრალური კომპონენტი ID გარათი იქნება. ავთენტიფიკაცია უნდა განხორციელდეს ევროკავშირის რეგულაცია 910/2014 (eIDAS რეგულაცია) პრინციპებით. აღნიშნული პროექტისათვის შეიქმნა სატენდერო დოკუმენტაცია. შესყიდვის განხორციელება და შესაბამისი სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2017 წელს

კანონპროექტი „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ რომელიც ჩაანაცვლებს კანონს „ელექტრონული ხელმოწერის და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ დამტკიცებულია მთავრობის მიერ და გადაგზავნილია პარლამენტში. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო მომსახურეებში ციფრული ხელმოწერის (ახალი კანონის ტერმინოლოგიით - კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის) და შტამპის აუცილებელი წესით დანერგვას, რისთვისაც საჯარო უწყებებს მიეცემათ კონკრეტული ვადა.

my.gov.ge პორტალზე ახალი მიდლვეარის ჩაშენების ტექნიკური სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები შესაბამისი საინსტალაციო პროგრამული პაკეტის გამოსაქვეყნებლად, რომელიც დასრულდება არაუგვიანეს 2017 წლის იანვრისა, რის შედეგადაც აღნიშნული ფუნქცია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება რეალურ რეჟიმში. დამატებით, ამ სამუშაოების დასრულების შედეგად მიდლვეარი ჩასაშენებლად ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მიდლვეარის ბოლო ვერსიის გამოყენებით ციფრული ხელმოწერის განხორციელება მნიშვნელოვნად მარტივდება.

ვალდებულება 9: ღია მონაცემების პორტალის შექმნა (data.gov.ge)		
ვალდებულების მოკლე აღწერა		ვალდებულება ითვალისწინებს ღია მონაცემების პორტალის შექმნას, რაც გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებების ღია მონაცემების (მონაცემები, რომელთა შეუზღუდავად წვდომა, გამოყენება და გავრცელება შესაძლებელია) საჯარო გამოქვეყნებას დამუშავებად, გამოთვლად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში. აღნიშნული ბიზნესს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, შეუფერხებლად ისარგებლონ ამ მონაცემებით, მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაციები და ელექტრონული სერვისები და მიიღონ ეკონომიკური სარგებელი.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი		ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ელექტრონული სერვისების პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ხელშეწყობა; ბიზნეს აქტივობების სტიმულირება; საჯარო სექტორის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა
ინდიკატორი		ღია მონაცემების პორტალი გაშვებულია და მასზე განთავსებულია ღია მონაცემები
მიღწეული შედეგები		2015 წლის ივნისის მდგომარეობით: - შექმნილია ადმინისტრაციულ ორგანოებთან ღია მონაცემების საკითხზე კომუნიკაციის სქემა; - შემუშავებულია პროგრამული უზრუნველყოფა; - განსაზღვრულია ღია მონაცემების ფორმატები; - დასრულებულია პორტალის ტესტირება; პორტალი გაშვებულია ოპერაციულ გარემოში;

	- ჩატარებულია ტრენინგები სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის; - პორტალზე ატვირთულია 100-ზე მეტი ღია მონაცემთა ცხრილი; - პორტალზე სისტემატურად იტვირთება ახალი მონაცემთა ცხრილები; - „ჰაკატონის“ დღის წესრიგი მომზადებულია; შემუშავებულია მონაწილეების სატრენინგო გეგმა.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2015				
სამომავლო გეგმები	- მონაცემთა გაცვლის სააგენტო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას ადმინისტრაციულ ორგანოებთან მათგან ღია მონაცემების მოპოვებისა და პორტალზე განთავსების მიზნით; - სააგენტო ასევე განაგრძობს ტრენინგების კურს; - სააგენტო ემზადება „ჰაკატონის“ გასამართად.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულების შესრულების მიმართულებით პროგრესი არ არის.

გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება

ვალდებულება 10: ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება		
ვალდებულების მოკლე აღწერა		სპეციალური კანონის მიღება მიზნად ისახავს პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების კონსოლიდირებას ერთ ნორმატიულ აქტში, რამაც თავის მხრივ, უნდა მოაწესრიგოს პრაქტიკა და დაეხმაროს როგორც მთავრობას, ისე არასამთავრობო სექტორსა და მთელ საზოგადოებას ღია და ანგარიშვალდებული, რაციონალური და ოპტიმალური სახელმწიფო აპარატის განვითარებაში.
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ანტიკორუფციული საბჭო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	„ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი		ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა; კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის არსებული განსხვავებების აღმოფხვრა; ნათელი და კონკრეტული რეგულირებების შემუშავება.
ინდიკატორი		კანონპროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის
მიღწეული შედეგები		- თემატური სამუშაო ჯგუფების მიერ პრობლემური საკითხები იდენტიფიცირებულია; - პირველადი პროექტი ძირითადი ცვლილებების მიმოხილვის მიზნით წარდგენილია ანტიკორუფციული საბჭოს წევრებისთვის; - ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები გამართულია; - „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“-ს მიერ კანონპროექტი წარდგენილია იუსტიციის სამინისტროსთვის შემდგომი დამუშავების მიზნით; - კანონპროექტის საერთაშორისო ექსპერტიზა ჩატარებულია;

	- მიმდინარეობს საერთაშორისო ექსპერტიზის მეორე ეტაპი და მუხლობრივი განხილვა იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში კანონპროექტის საბოლოო ტექსტზე შეთანხმების მიზნით				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	გაზაფხული, 2015				
სამომავლო გეგმები	- იუსტიციის სამინისტროს მიერ საბოლოო ტექსტის შემუშავების შემდეგ კანონპროექტის ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში შექმნილი თემატური სამუშაო ჯგუფებისთვის წარდგენა; - შეთანხმებული ვერსიის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულების შესრულების მიმართულებით პროგრესი არ არის.

ვალდებულება 11: ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერა და კოორდინაცია		
ვალდებულების მოკლე აღწერა		ფორუმი ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმია, რომელიც მოქმედებს ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში და შექმნილია სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით. ფორუმის წევრები არიან საჯარო დაწესებულებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს: - ფორუმის რეგულარული შეხვედრები; - ფორუმის საქმიანობის კოორდინაცია და ადმინისტრაციული მხარდაჭერა; - ფორუმის დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების განსაზღვრა; - ფორუმის შეხვედრის ოქმის მომზადება და ვებგვერდზე განთავსება; - ანტიკორუფციული საბჭოსთვის წელიწადში ორჯერ ფორუმის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.
წამყვანი დაწესებულება		სამდივნო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებები, არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები, ფორუმის თანამომხსენებელი არასამთავრობო სექტორის მხრიდან
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი		სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგის მუდმივობის უზრუნველყოფა
ინდიკატორი		შეხვედრები იმართება რეგულარულად, ოქმები ქვეყნდება ვებგვერდზე
მიღწეული შედეგები		- ფორუმის შეხვედრები იგეგმება ფორუმის მომხსენებლებთან შეთანხმებით; - სამდივნო ფორუმის ყოველი შეხვედრის შემდგომ ადგენს შეხვედრის ოქმს და უგზავნის ფორუმს რათა ფორუმის წევრებმა დაადასტურონ დოკუმენტის შინაარსი. მიღებული კომენტარების მიხედვით, სამდივნოს შეაქვს საჭირო ცვლილებები დოკუმენტში და საბოლოო სახით განათავსებს მას OGP-ის ბანერის ქვეშ, იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე. ფორუმთან დაკავშირებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე - http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/348; - ფორუმის 2014 წლის საქმიანობის ანგარიში, ჯერ ფორუმს 2015 წლის 22 იანვრის სხდომაზე , ხოლო შემდგომ ანტიკორუფციულ საბჭოს 2015 წლის 4 თებერვლის სხდომაზე წარედგინა; - 2015 წლის ივნისის მდგომარეობით, გამართულია ფორუმის 13 სამუშაო შეხვედრა.

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	მუდმივი აქტივობა				
სამომავლო გეგმები	- ფორუმის შეხვედრების რეგულარულად გამართვა; - ფორუმის მიერ სამოქმედო გეგმის კვარტალური მონიტორინგის წარმოება; - ფორუმის მიერ ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება; - ფორუმის 2015 წლის საქმიანობის ანგარიშის მომზადება.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულება ***სრულად შესრულდა.***

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ 2015 წლის ივლისი-ოქტომბრის პერიოდში შემდეგი აქტივობები განახორციელა: ფორუმთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, რომელიც OGP-ის სამდივნოს 2015 წლის ოქტომბერში წარედგინა. გაიმართა ფორუმის გაფართოებული შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ანგარიშის სამუშაო ვერსია და შეთანხმდა საბოლოო ტექსტი. შეხვედრა 2015 წლის 24 სექტემბერს გაიმართა.

სამდივნომ ფორუმთან ერთად მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაწია ღია მმართველობა საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. აღნიშნულს დაეთმო ფორუმის 3 შეხვედრა, რომელთაგან ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის ფორმატში წარიმართა. გეგმის შემუშავებისას გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები და ინტენსიური კონსულტაციები სამდივნოს, პასუხისმგებელ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი ფორუმმა თავის გაფართოებულ სხდომაზე 2016 წლის 24 ივნისს განიხილა. მოგვიანებით გეგმა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა.

ვალდებულება 12: ელექტრონული პეტიციების პორტალი (ICHANGE.GE)		
ვალდებულების მოკლე აღწერა		ელექტრონული პეტიციების გამოყენებით შესაძლებელი იქნება მოქალაქის მიერ საქართველოს მთავრობაში ელექტრონული პეტიციის ინიცირება. საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე (საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“), მოქალაქეების მიერ ინიცირებული წინადადებები საკმარისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განიხილება.
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო; სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); USAID პროექტი G3[4]
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი		საჯარო პოლიტიკის განვითარებაში საზოგადოების ჩართულობა; მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა; მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთდაახლოების პროცესის ხელშეწყობა
ინდიკატორი		I-change პორტალზე ელექტრონული პეტიციები ამუშავებულია და ფუნქციონირებს

[4] 2015 წლიდან G3 ჩაანაცვლა USAID-ის პროექტმა „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI)“. სამომავლოდ iChange.ge-ს მხარდაჭერას GGI განახორციელებს.

მიღწეული შედეგები	- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით 2014 წელს ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს შემდეგ უწყებებს: მთავრობის კანცელარიის დონორების კოორდინაციის სამმართველო, მთავრობის კანცელარიის ინტერნეტ კომუნიკაციის სამსახური, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, სამდივნო, საჯარო სამსახურის ბიურო, USAID, USAID-ის პროექტი G3 და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); - სამუშაო ჯგუფმა საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით შეიმუშავა: • მოქალაქის პლატფორმის (I-Change.ge) მართვის პროცედურული სახელმძღვანელო (გაიწერა „ბექ-ოფისის“ პროცედურები) და • ელ-პეტიციების სამართლებრივი საკითხების ანალიზი. აღნიშნულზე დაყრდნობით, მომზადდა სამართლებრივი აქტები შემდგომ დასამტკიცებლად; - გამოცდილების გაზიარების მიზნით, დამყარდა კავშირი აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ელექტრონული პეტიციების პლატფორმის "We The People" განყოფილებასთან; - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დაფუძნდა ელექტრონული მმართველობის დეპარტამენტი, რომელიც უხელმძღვანელებს I-change-ის; - სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაიწყო მუშაობა ტექნიკური დავალების შექმნაზე;				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	გაზაფხული, 2015				
სამომავლო გეგმები	- პორტალის გაშვება; - საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულების შესრულების მიმართულებით პროგრესი არ არის.

ვალდებულება 14: თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა		
ვალდებულების მოკლე აღწერა		საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული სისტემა სრულფასოვნად ფუნქციონირებს. ამ ვალდებულების მიზანია, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდეს დეკლარაციის მონიტორინგის სისტემა, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს თანამდებობის პირთა ფინანსური ანგარიშვალდებულება და საზოგადოებას მიეწოდებოდეს ზუსტი ინფორმაცია
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ანტიკორუფციული საბჭო; საქართველოს მთავრობა; საქართველოს პარლამენტი
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი		თანამდებობის პირთა ფინანსური ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა
ინდიკატორი		დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შესახებ ბიუროს მიერ მომზადებული წინადადებები წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის; მონიტორინგის მოდელზე შეთანხმება მიღწეულია; სისტემა ფუნქციონირებს

მიღწეული შედეგები	- 2014 წელს, მონიტორინგის კონკრეტული ფორმის შერჩევის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი სამთავრობო სამუშაო ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების, ცენტრალური საჯარო უწყებებისა და ბიუროს წარმომადგენლების მონაწილეობით; - სამუშაო ჯგუფისა და პროცესში ჩართული საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, ბიურომ მოამზადა წინადადებები; - 2015 წლის 4 თებერვალს ბიურომ შემუშავებული ხედვა ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე წარადგინა; - დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნის მიზნით, მომზადდა და 29 ივნისის ანტიკორუფციულ საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი; - პროექტი წარედგინა მთავრობას, რომელმაც მოიწონა იგი და პარლამენტს განსახილველად გადასცა; ცვლილებები მიღებულია პირველი მოსმენით.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	2015				
სამომავლო გეგმები	ბიურომ, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად დაიწყო მუშაობა დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შემუშავებაზე. 2016 წლის განმავლობაში მომზადდება საფუძველი დეკლარაციების მონიტორინგის პროცესის დაწყებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან კი იგეგმება დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ამოქმედება.				

2015 წლის 27 ოქტომბერს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვას. დეკლარაციების მონიტორინგი 2017 წლის 1 იანვრიდან, ცვლილების ამოქმედების შემდეგ დაიწყება და ყოველწლიურად განხორციელდება.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჯარო დაწესებულებებში არსებული ელექტრონული ბაზების დაკავშირებისა და ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შექმნის პროცესი. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ უკვე შემუშავებულია თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის განხორციელების ინსტრუქციის პირველადი ვარიანტი.

2016 წლის ბოლოსთვის, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შექმნის მიზნით, შემუშავებულია შესაბამისი დადგენილება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მონიტორინგის კომისიის შექმნის, მონიტორინგისთვის განსაზღვრული დეკლარაციების შერჩევისა და უშუალოდ მონიტორინგის პროცესის წარმოების წესები.

ბიუროს დაკვეთით სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ შეიმუშავა დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული პროგრამა. ამასთანავე, დეკლარაციების მონიტორინგის პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შესაბამისი ბაზებიდან ინფორმაციაზე წვდომის მისაღებად.

*ვალდებულება **უმეტესწილად შესრულდა.***

ვალდებულება 18: საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	
ვალდებულების მოკლე აღწერა	ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (ცესკო) და სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების,

		რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) მიერ სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება ამომრჩეველთა კორპუსისა და არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის.
წამყვანი დაწესებულება		სწავლების ცენტრი, ცესკო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	დაინტერესებული საჯარო დაწესებულებები
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი		საარჩევნო ცნობიერების ამაღლება
ინდიკატორი		ინფორმირებული საზოგადოება; არჩევნებში საზოგადოების აქტიური ჩართულობა
მიღწეული შედეგები		- ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახორციელებს სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო კულტურის გაღრმავებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამას საარჩევნო სამართლის დარგში („სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალში“), იურიდიული ფაკულტეტისა და პოლიტიკურ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (მედიის სკოლა) სტუდენტებისთვის. 2014-2015 სასწავლო წელს სასწავლო კურსი გაიარა 593 სტუდენტმა. - ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრის მიერ 11 უნივერსიტეტში განხორციელდა საინფორმაციო პროექტი, რომლის ფარგლებში სტუდენტებთან ჩატარდა სემინარი და მოეწყო დისკუსია თემაზე „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“. სტუდენტებს ასევე დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები; პროექტის ფარგლებში ჩატარდა 22 სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 442 სტუდენტმა; - ცესკოს სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიმუშავა მოდული „გენდერი და არჩევნები“, რომელიც „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“-ის ფარგლებში დაინერგება; - 2015 წლის 24 მარტს სწავლების ცენტრის ორგანიზებით საგრანტო კონკურსი გამოცხადდა ცესკოს განკარგულებით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებებზე: • ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის; • ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში; • პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა (რეგიონულ ჭრილში); • ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 25 საგრანტო პროექტი.
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა / უმეტესწილად შესრულდა / ნაწილობრივ შესრულდა / არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x
დასრულების თარიღი		ნოემბერი, 2015
სამომავლო გეგმები		ცესკო და სწავლების ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა (CoE) და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს საპილოტე პროექტს „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“. პროექტის იმპლემენტაციის განხორციელება გათვალისწინებულია ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე - საარჩევნო განვითარების სკოლები 10 საარჩევნო ოლქში ამოქმედდება, ხოლო მეორე ეტაპზე - 9 საარჩევნო ოლქის დამატება იგეგმება.

ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ცესკო და სწავლების ცენტრი უწყვეტად განაგრძობს ვალდებულებით აღებული ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- *ცესკოს სწავლების ცენტრმა საარჩევნო სამართლის დარგში განახორციელა სემესტრული სწავლება საქართველოს 19 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სასწავლო კურსი გაიარა 1709 სტუდენტმა. სასწავლო კურსისთვის მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის და გზამკვლევი ლექტორებისთვის;*
- *სწავლების ცენტრმა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განახორციელა საინფორმაციო კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების იმ ნაწილის გააქტიურებას, რომლებიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში. სემინარებში მონაწილეობა მიიღო 18-დან 21 წლამდე ასაკის 1532 ახალგაზრდა ამომრჩეველმა;*
- *ცესკომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სწავლების ცენტრმა საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მოქალაქეებად მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, 14 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და 8 მაღალმთიან მუნიციპალიტეტში განლაგებულ 148 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის განახორციელა სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. სასწავლო კურსი გაიარა 2591 მოსწავლემ;*
- *სწავლების ცენტრმა განახორციელა პროექტი "სტუდენტური დებატ-კლუბი", რომელიც სტუდენტების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად.*
- *სწავლების ცენტრმა განახორციელა საინფორმაციო /საგანმანათლებლო პროექტი თბილისისა და ქუთაისის ბავშვთა სახლებში მყოფი მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის. კურსი გაიარა 33 მონაწილემ;*
- *ცესკომ და სწავლების ცენტრმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა (CoE) და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა „საარჩევნო განვითარების სკოლა“. პროექტის ფარგლებში, 17-დან 25 წლამდე ასაკის 1080-მა ახალგაზრდამ გაიარა სასწავლო კურსი და მიიღო განათლება არჩევნებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე;*
- *ცესკომ და სწავლების ცენტრმა საქართველოს 22 მუნიციპალიტეტში განახორციელა სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირებას. სასწავლო კურსი გაიარა 1249 მონაწილემ;*
- *სწავლების ცენტრმა განახორციელა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანი იყო მათი საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის. აღნიშნული საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა პროექტში მონაწილე 23 პოლიტიკური პარტიის (მათ შორის, 11 კვალიფიციური და 12 არაკვალიფიციური პარტიის) 1431 წარმომადგენელმა.*
- *ცესკომ და სწავლების ცენტრმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან პარტნიორობით განახორციელა ტრენინგი საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პოტენციური კანდიდატი ქალებისათვის. საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტი მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილმა 53 პოტენციურმა კანდიდატმა ქალმა.*

- *სწავლების ცენტრის ორგანიზებით საგრანტო კონკურსი გამოცხადდა ცესკოს განკარგულებით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებებზე - ქალთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხებზე; მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში; მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 12 საგრანტო პროექტი;*

*ვალდებულება **სრულად შესრულდა.***

გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

ვალდებულება 19: საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება		
ვალდებულების მოკლე აღწერა		ვალდებულების მიზანია: - საბიუჯეტო დოკუმენტაციის საჯაროობის უზრუნველყოფა; საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებისათვის ინტერაქტიული კითხვარების შეთავაზება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავი დაწესებულებების ვებგვერდების მეშვეობით; ასევე, ბიუჯეტის კანონპროექტის, კანონის და შესრულების ანგარიშის თაობაზე ინფორმაციული პრეზენტაციების მომზადება და ვებგვერდზე განთავსება
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	საერთაშორისო ორგანიზაციები, ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო რესურსების უკეთესი მართვა
მთავარი მიზანი		საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება
ინდიკატორი		არსებობს კონკრეტული სქემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება
მიღწეული შედეგები		- საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის (ბიუჯეტის ანალიტიკური მონაცემები; მაკროეკონომიკური მაჩვენებლები; BDD; სახელმწიფო ბიუჯეტი; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა; საბიუჯეტო კანონმდებლობა; საბიუჯეტო კალენდარი; მოქალაქის გზამკვლევი); - ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციული პრეზენტაციები განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე; - ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი;

	- ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია კითხვარი "მიიღე მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვაში და განსაზღვრე პრიორიტეტული მიმართულებები".				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2015				
სამომავლო გეგმები					

2016 წლის ბიუჯეტის შემუშავების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ გამართა საჯარო განხილვები ქვეყნის მასშტაბით. რეგიონებში შეხვედრები [5] გამართეს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლებმა და მაჟორიტარმა დეპუტატებმა. აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო ასევე ქ. თბილისში. განხილვების შედეგად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნა ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს.

ამჟამად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია:

- *საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3, 6 და 9 თვე) ანგარიშები;*
- *2 წლის და 3 წლის მუშაობის შედეგები;*
- *"საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონპროექტები;*
- *2016 წლის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი;*
- *დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმოხილვა - „საქართველოს ფისკალური პოლიტიკა, მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან“.*

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნდა „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (Open Budget Survey 2015) შედეგები, რომლის თანახმადაც საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები 2012 წლის ანალოგიურ კვლევასთან შედარებით. იგივე ინდექსის 2012 წლის შედეგების თანახმად, საქართველოს 55 ქულით 33-ე ადგილს იკავებდა. პოზიციის გაუმჯობესებით საქართველო მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნების („Substantial Transparent“) რიგში და გაუსწრო რეგიონის ყველა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას.

*ვალდებულება **უმეტესწილად შესრულდა.***

ვალდებულება 21: ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა საჯარო სამსახურში	
ვალდებულების მოკლე აღწერა	ვალდებულება გულისხმობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დახვეწას საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვით გზით.
წამყვანი დაწესებულება	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

[5] შეხვედრები გაიმართა ბათუმი, ქუთაისი, ოზურგეთი, თელავი, ახალციხე, რუსთავი, დუშეთი.

პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	სამოქალაქო საზოგადოება
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო რესურსების უკეთესი მართვა
მთავარი მიზანი		ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დახვეწა
ინდიკატორი		საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა
მიღწეული შედეგები		- ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (e-HRMS) დანერგილია 13 სამინისტროში; - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემები დანერგილია 17 სსიპ-ში და 4 მუნიციპალიტეტში.

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	

დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2015
სამომავლო გეგმები	2015 წლის ბოლომდე e-HRMS-ის დანერგვა დაგეგმილია დარჩენილ 6 სამინისტროში. 2016 წლის ბოლომდე ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა დანერგილი იქნება ყველა თვითმმართველობასა და სსიპ-ში.

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით e-HRMS დანერგილია ყველა სამინისტროში (ასევე, სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ 63 სსიპ-ში); ყველა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში (სულ 9); ყველა თვითმმართველობაში (სულ 152 ორგანიზაცია); აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების 41 უწყებაში.

*ვალდებულება **სრულად შესრულდა.***

ვალდებულება 22: ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა		
ვალდებულების მოკლე აღწერა		ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა, რომლის მეშვეობითაც ელექტრონული დოკუმენტი ხანგრძლივი პერიოდით ტექნოლოგიებისგან ნეიტრალური სახით საიმედოდ შეინახება და ინტერნეტის საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება მასზე წვდომა ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი		ხანგრძლივი ციფრული შენახვის მიზანს წარმოადგენს ციფრული ობიექტების ავთენტური ელექტრონული ხელმისაწვდომობისა და გამოყენებადობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება

ინდიკატორი	ელექტრონული არქივის ფუნქციონალი და ტექნიკური მოთხოვნები შექმნილია; გამართულია ნორმატიული ბაზა				
მიღწეული შედეგები	- დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ეროვნული არქივის მიერ შემუშავდა ელექტრონული არქივირების სისტემის ძირითადი ფუნქციონალური მოთხოვნები. დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრები ელექტრონული არქივირების სისტემის შექმნის პერსპექტივებისა და გამოწვევების შესახებ. აღნიშნული შეხვედრების შედეგად განხორციელდა ელექტრონული არქივირების არსებული გარემოს ანალიზი და შემუშავდა ფუნქციონალური მოთხოვნების ძირითადი კონცეფცია. - შემუშავდა ელექტრონული არქივირების OAIS სტანდარტის შესაბამისი მოდელის ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2015				
სამომავლო გეგმები	საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ელექტრონული არქივირების სისტემის შემუშავება სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულებად დასახელდა, შესაბამისად, 2016-2017 წლებისთვის დაგეგმილია: - ელექტრონული არქივირების გარემოს და მოთხოვნების დეტალური ანალიზი; - განსაზღვრული გარემოს და მოთხოვნების მიხედვით ელექტრონული არქივირების შესაბამისი სისტემის და ბიზნეს ამოცანების დეტალური განსაზღვრა; - საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; - ელექტრონული არქივირების ინფრასტრუქტურის გამართვა და საპილოტე სისტემის გაშვება; - ელექტრონული არქივირების სისტემის დანერგვა და მხარდაჭერა.				

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულების შესრულების მიმართულებით პროგრესი არ არის. 2016-2017 წლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები 2017 წლის გეგმებში გადავიდა.

ვალდებულება 23: საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების ხელმისაწვდომობა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის თაოსნობით შეისწავლის და გადასინჯავს ნორმატიულ ბაზას და შეიმუშავებს საჭირო ცვლილებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არქივების მეტი გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა. ხელმისაწვდომი იქნება არქივებში დაცული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები, მკვლევარებს შესაძლებლობა ექნებათ, შეუზღუდავად იმუშაონ საარქივო დოკუმენტებზე. დოკუმენტების დედნების ყოველდღიური გაცემა შეიზღუდება, რაც უზრუნველყოფს მათ მეტ დაცულობას.

წამყვანი დაწესებულება		სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი		მკვლევართათვის დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; დოკუმენტების დედნების დაცვის პირობების გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა
ინდიკატორი		ნორმატიული ბაზა გადასინჯულია; საარქივო დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიებზე წვდომა უზრუნველყოფილია
მიღწეული შედეგები		- შემუშავდა OAIS სტანდარტის შესაბამისი მოდელი და ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები; - ნორმატიული ბაზის გადასინჯვის მიზნით, გაიმართა კონსულტაციები ეროვნული არქივის 4 ცენტრალურ არქივთან. შეხვედრების შედეგად მომზადდა წინადადებები ნორმატიული ბაზის დახვეწასთან დაკავშირებით; - კონსულტაციების შედეგად მომზადდა ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის N 506 დადგენილებისათვის "ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების შესახებ"; - დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების გაცემისათვის ეროვნული არქივის 3 სამკითხველო დარბაზი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით. შედეგად, მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომია ეროვნული არქივის სხვადასხვა ელექტრონული კატალოგი. მათ შორის ხელმისაწვდომი გახდა საარქივო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი, რომელშიც ამჟამად ატვირთულია 6 ფონდის 2000-მდე საქმე.
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა / უმეტესწილად შესრულდა / ნაწილობრივ შესრულდა / არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x
დასრულების თარიღი		2015
სამომავლო გეგმები		2015 წლის ბოლომდე განხორციელდება დამატებით 4 სამკითხველო დარბაზის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით. საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ რეესტრს დაემატება 20 ფონდი, საისტორიო ცენტრალური არქივის 1400 ანაწერი და უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 2300 ანაწერი.

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ სსიპ - საქართველოს ეროვნულმა არქივმა კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა 4 სამკითხველო დარბაზი, საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ რეესტრს დაემატა 20 ფონდი, საისტორიო ცენტრალური არქივის 1400 ანაწერი და უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 2300 ანაწერი. ეროვნული არქივი გეგმავს ფონდების სრულად დამატებას ელექტრონულ რეესტრზე, რაც ხანგრძლივი პროცესია.

*ვალდებულება **სრულად შესრულდა.***

ვალდებულება 24: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება						
ვალდებულების მოკლე აღწერა		ყოფილი უშიშროების არქივში დაცული მასალებისადმი მაღალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი უზრუნველყოფს ყოფილი უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნას (შესაბამისი აღწერილობით) და კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში მის გამოქვეყნებას.				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)				
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო მომსახურების გაუმჯობესება				
მთავარი მიზანი		ყოფილი უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ხარისხის ეტაპობრივი გაზრდა				
ინდიკატორი		ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი შექმნილი და გამოქვეყნებულია ეტაპობრივად				
მიღწეული შედეგები		- შსს-ს არქივი უზრუნველყოფს ყოფილი უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნას (შესაბამისი აღწერილობით) ეტაპობრივად; - შსს-ს არქივის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.archive.mia.gov.ge), უშიშროების ფონდების აღწერილობით ნაწილთან ერთად უკვე დამატებულია შესაბამისი სახელობითი-საძიებო ფუნქციონალი; - ვებგვერდს ეტაპობრივად ემატება ე.წ. „პარტიული არქივის“ ფონდების სახელობითი და თემატური საძიებო სიები (აღნიშნულ ნაწილში უკვე დამატებულია ანბანურ-სახელობითი და საფონდო საძიებო კატალოგი, რომელიც მოიცავს 6083 უნიკალურ ფონდსა და შესაბამისი რაოდენობის ქვეფონდებს).				
შესრულების შეფასება			სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი		2015				
სამომავლო გეგმები						

*სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ **სრულად შეასრულა** სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულება, რაც ყოფილი უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნას ითვალისწინებდა. ელ-კატალოგი შექმნილია, ხოლო აკადემია განაგრძობს არქივის სხვა ფონდებში დაცული დოკუმენტების (შსს არქივი, ე.წ. "პარტიული ორგანოების არქივი") ელექტრონიზაციის რთულ და ხანგრძლივ პროცესს.*

ვალდებულება 25: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	- სახელმწიფო ხაზინის მართვის ელექტრონული სისტემის - eTreasury- შემდგომი სრულყოფა და ფართომასშტაბიანი დანერგვა ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში, სსიპ-ებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;

		- ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის - eBudget - შემდგომი სრულყოფა და დანერგვა ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩათვლით; - სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის - eDMS - შემდგომი სრულყოფა; - ელექტრონული აუქციონის სისტემის - eAuction.ge - შემდგომი განვითარება.
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციები
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საჯარო მომსახურების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი		სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი განაწილება და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემოსავლების მობილიზება; საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემების განვითარება
ინდიკატორი		eTreasury სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; eBudget სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; eDMS სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; eAuction სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსული საპრეტენზიო ზარების რაოდენობის დინამიკა; სისტემების იმპლემენტაციისას ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა.
მიღწეული შედეგები		- ხაზინის ბექ-ოფისში დაემატა ახალი ანგარიშგებები, რესურსების კონტროლის, ფულის კონტროლის, გადასახდელების ფუნქციონალური შესრულების, ნორმატივების გატარებები, CPV-ების და სხვა. შესაძლებელი გახდა საინკასო სქემის პროცესის გამოყენება სსიპ-ებსა და რაიონებზე. ცვლილებები შევიდა ანგარიშებთან დაკავშირებულ ოპერაციებში; - მხარჯავების პორტალზე განხორციელდა სისტემის შემდეგი მოდულების ტექნიკური რეფაქტორინგი: ხელშეკრულებები, ვალდებულებები, მოთხოვნები, CPV დაზუსტებები, პაკეტური დამოწმებები, თანამშრომლები, პაკეტები, პირველადი დოკუმენტი, ოპერაციები დეპოზიტებზე, წინა წლის ნაშთები, დამოუკიდებელი მოდული, მთავარი წიგნი, ალტერნატიული მთავარი წიგნი და სხვა (ამჟამად სისტემაში ჩართულია 3505 მომხმარებელი); - დაიხვეწა სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესრულების ანგარიშგება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა შემოსულობებისა და ნაშთების ფაქტობრივი მონაცემების იმპორტი ხაზინის სისტემიდან. ჩატარდა სამი იტერაცია, რომლის ფარგლებშიც გასწორდა რეფორმის ეტაპზე დაგროვილი ხარვეზების 80% (150-ზე მეტი მაღალი და საშუალო

	პრიორიტეტის ხარვეზი). ჩატარდა კანონში ცვლილების შესაბამისი სამუშაოები (ამჟამად სისტემაში ჩართულია 1018 მომხმარებელი); - დასრულდა მუშაობა და სამუშაო გარემოში განთავსდა სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის ახალი ვერსია, რომელშიც შესულია საშინაო ვალის მართვისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალი (ამჟამად სისტემაში ჩართულია 50 მომხმარებელი); - დასრულდა ლიბერთი ბანკის eMoney სერვისის ინტეგრაციის განახლების სამუშაოები. განხორციელდა საიტზე გამოკითხვის ოპტიმიზაცია - შესაძლებელი გახდა რამოდენიმე გამოკითხვის ერთად გამოტანა საიტზე. მიმდინარეობს ანგარიშგების სისტემის და ანგარიშების შექმნის ფუნქციონალის შემუშავება (15 წლის მეორე კვარტალში სისტემაში დარეგისტრირდა 2 574 ფიზიკური პირი და 385 იურიდიული პირი; ამჟამად სისტემაში ჩართულია 51 925 ფიზიკური და 5 655 იურიდიული პირი).				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	2015				
სამომავლო გეგმები					

ამჟამად საფინანსო-ანალიტიკური დეპარტამენტი მუშაობს დამკვეთის (სახელმწიფო ხაზინა, საბიუჯეტო დეპარტამენტი) მომართვის საფუძველზე სისტემაში ახალი ფუნქციონალის რეალიზაციაზე.

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ განხორციელდა „გადასახადების ერთიანი კოდის“ რეფორმის მეორე და მესამე იტერაცია. შეიქმნა ახალი ანგარიშგებები და შეიცვალა მათი გენერირების ლოგიკა. სისტემას დაემატა ნორმატიული აქტის თანდართული დოკუმენტის დათვალიერების შესაძლებლობა და პირდაპირ ჩარიცხვებზე ახალი დავალების შექმნის უფლება. ცვლილება შევიდა „გარე სერვისსა“ და „შესყიდვების სააგენტოს სერვისის“ მოდულებსა და მესამე პირის გადახდის პროცედურაში. - ამჟამად სისტემაში ჩართულია 4836 მომხმარებელი.

შემუშავდა ხაზინის ტრანსფერების ასახვის ფუნქციონალი განაცხადისა და დინამიური ანგარიშგებების მოდულებისთვის. განხორციელდა 2015 წლის ნოემბერში მომხდარი კანონში ცვლილების მხარდაჭერასა და გასულ სამუშაო პერიოდებში ღონისძიებების მიგრაციასთან დაკავშირებული სამუშაოები. ჩატარდა სისტემის წარმადობისა და ოპერაციების შესრულების ხანგრძლივობის გასაუმჯობესებელი ტექნიკური სამუშაოები, რის შედეგადაც აჩქარდა წლიური და კვარტალური ფაილების ოპერაციები, ხოლო დინამიურ ანგარიშგებათა გენერირების დრო შემცირდა ოთხჯერ - ამჟამად სისტემაში ჩართულია 762 მომხმარებელი.

სამუშაო გარემოში განთავსდა ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიმოცვლის მოდული. განხორციელდა სისტემის ძველ ვერსიაში არსებული ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიგრაცია ახალ სისტემაში. გასწორდა ეროვნული ბანკის მოდულის ყველა ხარვეზი. განხორციელდა სისტემაში არსებული საშინაო ვალის ყველა რეპორტის ვიზუალური გადაწყობა და გამოთვლების ოპტიმიზაცია. მიმდინარეობს სისტემის ფრონტის მხარეს გამოყენებული Silverlight ტექნოლოგიის HTML-ით ჩანაცვლება, რომლის სამუშაო გარემოში განთავსება იგეგმება 2016 წლის I კვარტალში - ამჟამად სისტემაში ჩართულია 46 მომხმარებელი.

განხორციელდა რეფრაქტორინგის და სატესტო eav2.fas.ge გარემოს სინქრონიზაცია; მომსახურების გადახდის გვერდზე დაემატა უნაღდო ანგარიშსწორების მეთოდი; განხორციელდა სისტემის ტექნიკური ოპტიმიზაცია:

ლოტის რეგისტრაცი. 2015 წლის მეოთხე კვარტალში სისტემაში დარეგისტრირდა 2 683 ფიზიკური პირი და 407 იურიდიული პირი. ამჟამად სისტემაში ჩართულია 57 409 ფიზიკური და 9 480 იურიდიული პირი.

ვალდებულება ***უმეტესწილად შესრულდა.*** *აღნიშნული ღონისძიებების შესრულება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.*

გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა

ვალდებულება 27: დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკა და კრიმინოგენური რუკა					
ვალდებულების მოკლე აღწერა		ვალდებულება გულისხმობს დანაშაულის სტატისტიკის გაფართოებასა და წარმოდგენას ინტერაქტიული და ინოვაციური ფორმატის მეშვეობით. 1. ხელმისაწვდომი იქნება სისხლის სამართლის საქმეების ელექტრონული სისტემის მონაცემებზე დაფუძნებული ინტერაქტიული სტატისტიკა (სისტემა უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონულ წარმოებას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე). 2. შემუშავდება დანაშაულის დეტალიზებული კრიმინოგენური რუკა, ინტერაქტიული ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს დეტალური და მრავალფეროვანი სტატისტიკის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ფორმატში და ცვლადებით, მათ შორის, დროის, დანაშაულის ტიპის, რეგიონისა და სხვა პარამეტრების მიხედვით.				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს მთავარი პროკურატურა			
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი				
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა			
მთავარი მიზანი		სტატისტიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინოვაციური ელექტრონული ფორმატების მეშვეობით; შსს-ს მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება			
ინდიკატორი		დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკა და რუკა გაშვებულია და ფუნქციონირებს სატესტო რეჟიმში			
მიღწეული შედეგები		- საანგარიშო პერიოდში, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, შესაძენად შერჩეულ იქნა GPS მოწყობილობები. განისაზღვრა მათი რაოდენობები, ტექნიკური მახასიათებლები და გამოყენების პირობები. აღნიშნული ვალდებულების დროული და ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 28 ნოემბერს გამოსცა N2116 განკარგულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, ფინანსთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და მთავარი პროკურატურის შესაბამის სამსახურებს (საგამოძიებო ფუნქციის მქონე) შესაძლებლობა მიეცათ GPS მოწყობილობები შეიძინონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული მოწყობილობების შესყიდვის პროცედურები; - საანგარიშო პერიოდისთვის, GPS მოწყობილობები შეძენილი არ არის, რაც აფერხებს პროგრამის სატესტო რეჟიმში გაშვებას.				
შესრულების შეფასება			სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი		2015				

სამომავლო გეგმები	

თვითშეფასების შუალედური ანგარიშის შემდგომ ვალდებულების შესრულების მიმართულებით პროგრესი არ არის.

დასკვნა

2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 29 ვალდებულებიდან[6] სრულად შესრულდა 18 ვალდებულება, უმეტესწილად შესრულდა 6 ვალდებულება, ნაწილობრივ შესრულდა 5 ვალდებულება, ხოლო შეუსრულებელი ვალდებულება <u>არ</u> გვაქვს.



<u>სრულად შესრულდა</u>

ვალდებულება 1(ა): სადაზღვეო სერვისი იუსტიციის სახლში
ვალდებულება 1(ბ): სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისები იუსტიციის სახლში
ვალდებულება 2: მომხმარებლის ხმა
ვალდებულება 3: "JUSTdrive"-ს ამოქმედება
ვალდებულება 4: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლში
ვალდებულება 6 (ა): საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში
ვალდებულება 7: რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით
ვალდებულება 11: ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერა და კოორდინაცია

[6] სამოქმედო გეგმა აერთიანებს 27 ვალდებულებას, რომელთაგან 2 ვალდებულება (ვალდებულება N1 და N6) დაყოფილია „ა" და „ბ" ნაწილებად. მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის, აღნიშნული ნაწილები ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ ვალდებულებებად განიხილება, შესაბამისად, შეფასების ჯამური მაჩვენებელი მოიცავს 29 ვალდებულებას.

ვალდებულება 13: საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი წესების შემუშავება
ვალდებულება 15: პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში
ვალდებულება 16: ონლაინ კონსულტაციის მექანიზმის დანერგვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
ვალდებულება 17: ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის პრაქტიკული გამოქვეყნება
ვალდებულება 18: საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
ვალდებულება 20: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება - „ყველა ყველაფერს ხედავს“
ვალდებულება 21: ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა საჯარო სამსახურში
ვალდებულება 23: საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების ხელმისაწვდომობა
ვალდებულება 24: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება
ვალდებულება 26: „112“ -თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა

<u>უმეტესწილად შესრულდა</u>

ვალდებულება 6 (ბ): ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში
ვალდებულება 8: ციფრული ხელმოწერა და ონლაინ ავთენტიფიკაცია
ვალდებულება 9: ღია მონაცემების პორტალის შექმნა (www.data.gov.ge)
ვალდებულება 10: ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება
ვალდებულება 14: თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა
ვალდებულება 25: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა

<u>ნაწილობრივ შესრულდა</u>

ვალდებულება 5: მოქალაქის პორტალის განვითარება
ვალდებულება 12: ელექტრონული პეტიციების პორტალი (ICHANGE.GE)
ვალდებულება 19: საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება
ვალდებულება 22: ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა
ვალდებულება 27: დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკა და კრიმინოგენური რუკა